წ. I 1915 წ. 35 კვირა 22 თებერვალი

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი [illegible] ნაწილნაწილათ გადაიხადონ, ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი კი [illegible] ნაწილნაწილათ. განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ [illegible] 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

სამშობლო

№ 18 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 18

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა".

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი გაზეთი

„სამშობლო"

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.

ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.

ესევე გაზეთი დაურიგდებათ „იმერეთის" ხელის მომწერლებს.

გთხოვთ წერილები და ფული აგზავნოთ შემდეგის ადრესით. **ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო"** თფილისის ქუჩა, სახლი პ. ი. გოკიელისა.

გაზეთს ყოველ კვირა ექნება სურათებიანი დამატება, დამატების გამოცემა დამოკიდებულია თანამგრძნობთა რიცხვის გამრავლებაზე.

ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

ვსთხოვთ აგრეთვე ადგილობრივ დაწესებულებებს და საზოგადო მოღვაწეებს გვიგზავნონ სურათები.

მოწვეულნი არიან ცნობილი და საუკეთესო მწერალ-თანამშრომელნი. მათი სია ამ დღეებში გამოცხადდება.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ქუთაისი
გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

მოსკოვის ფირმის

ქუთაისი
გიმნაზიის ქ., საკუთ. სახლი.

ამხ-ბა „ნ. უდალოვი და ი. ვავილოვი"-ს

სამანიფაქტურო მაღაზიაში

მიღებულია და იყიდება დიდძალი ასარჩევი ახალ-მოდის საქონელი,

აბრეშუმეულობა,
შალეულობა,
მაუდეულობა
და ბამბეულობა.

განსაკუთრებით საყურადღებოა ქალების კოსტიუმებისათვის:

„ხავერდი—შიფონი" „კრეპ—აბრეტინი" და „კოტლე—ნოველი" მანტოსათვის:

„ფაი—რენე" და „ფაი—შიკ."

აგრეთვე იყიდება ჩვენთან პროხოროვის ტრიოხგორნი მანუფაკტურის ნაწარმოები.

ფასები შეუდარებლათ

ნათესავთა, მახლობელთა და ნაცნობთა გულითადი ყურადღებით გამხნევებულნი და გალონიერებულნი მათ ღრმა მწუხარებაში, ჩერენთა ცხენოსან პოლკის უფროსის ექიმის

სერგო მიხეილის ძე ქლენტის

ბრძოლაში დაკარგვით, მეუღლე განსვენებულისა ქვრივი ბარბალე დომენტის ასული ქლენტისა, მშობლები ნატალია და მიხეილ, დები მრიამი და სოფიო, ძმები პორუჩიკი ივანე და გრიგოლი, შვილები შუშანა და ბიჭიკო ქლენტები უღრმეს და გულწრფელ მადლობას სწირავენ ყველას, ვინც პირადი დასწრებით, ან წერილით და დეპეშით გამოუცხადა მათ თანაგრძნობა.

1—1—73

ვასილ, დიმიტრი და კონსტანტინე მიხეილის ძენი ბერეკაშვილები, ედუკი ჩარკვიანისა, თეკლე სახელაშვილისა, პისტე და მინადორა, ეროიდა ეზიკოვისა, ალექსანდრა, ნინო, აკაკი, იროდიონი და თამარა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, პირველნი და მეორენი საყვარელი დედის, მესამენი დედამთილის, ხოლო უკანასკნელნი ძვირფასი ბებიის

კესარიას

გარდაცვალებას 16 თებერვალს. გამოსვენება და დაკრძალვა ცხედრისა დანიშნულია სოფ. კურსებში კვირას, 22 თებერვალს, წირვის შემდეგ.

1—1—74

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში **ნიკიფორე მ. ჯანელიძის** მაღაზიაში; **ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის** კანტორაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე.

თ. 69.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი ჯაჯუ ჯორჯიკიასი.

ფასი 60 კაპ.

ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მშრალ მიწაზე გაზრდილი, იყიდება ზომიერ ფასათ, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ

ნ. ს. ჯორჯიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права"
Проф. Л. І. Петрожецкаго. ფასი 6 შაური

დაიკარგე

ქუთაისისა და რიონის სადგურებს შუა, 4 დეკემბერს წარსულ წელს, დავკარგე ფუთა, რომელშიაც იყო ცხვირსახოცში შეხვეული საბუთის ქაღალდები; ვექსილი პირობის წერილები, მოწმობები და უბის კნიშკა. ამ დანაკარგიდან უკვე მივიღე პასპორტი და კაცის წიგნაკი ჟანდარმის ხელით, ხოლო სხვა საბუთები არა ჩანს. დანარჩენი ქაღალდების მპოვნელსაც ვსთხოვ, წარმოადგინოს „სამშობლოს" რედაქციაში და ჯილდოთ მიიღებს 15 მანეთს. ან ბალახვანის ქუჩაზე მხეიძის სახლში, ჩხიკვაძის ბინაზე.

3—2—65

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. სად. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

კბილის მენალარიშრილი და [illegible] ექიმები. ნოვა. დროებით ბათ[illegible] მოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისი[illegible] ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნ[illegible] გვერდში. ავათმყოფებს ღებუ[illegible] 9—1 და საღამოს 4—6. არჩენე[illegible] კბილებისა და ღრძილებისას. [illegible] ნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქრო[illegible] ზე. ღრძილების ავათმყოფობას [illegible] ნიმე სეანსზე ახალი საშუ[illegible]

ქუთაისი, 22 თებერვალი.

როდესაც რომელიმე ადამიანი დაჩაგრულია, დამონავებულია,—ცხრა თვალი უნდა გამოიბას, ცხრა ყური უნდა იქონიოს, რომ როგორმე დააღწიოს თავი თავის დუხჭირ ცხოვრებას და ადამიანმა ადამიანურათ ამოისუნთქოს... ერთ დღეს მაინც იგრძნოს თავი ღირსად და ტოლად დანარჩენებისა.

ასეა დაბეჩავებული, და თვით-არსებობა დაკარგული ერის საქმეც!

როდესაც ესა თუ ის ერი იძულებულია იმზიროს სხვის თვალებით, იფიქროს სხვის თავით, იმოქმედოს სხვის ხელებით და იაროს სხვის ფეხებით, პირველი მისი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ როგორმე თავი დააღწიოს ასეთ არა ბუნებრივ მდგომარეობას და საკუთარ ფეხებზე შესდგეს, საკუთარი აზრი გაიჩინოს, საკუთარ ისტორიულ მსვლელობას აჰყვეს.

ჩვენ—ქართველები—მართალია არც ისე დაძაბუნებულნი ვართ,—როგორც ზოგიერთებს ჰკონიათ,—მაგრამ არც ისე ფეხიზლად ვეკიდებით ჩვენ შინაურ საქმეებს, როგორც ეს ჩვენთვის საჭიროა.

ხალხის, ერის ძალა და ძლიერება არის მშრომელი მასსა, მუშა ხელი, მკვებელი მთელის ქვეყნისა და მატარებელი ერის სიცოცხლისა. ჩვენ ამით ქათინაურების თქმა კი არ გვინდა, ჩვენ გვინდა, რომ სწორეთ ამ მასსამ შეიგნოს შინაურ საქმეების მოწესრიგების მნიშვნელობა.

ინტელიგენცია, მოწინავე ნაწილი საზოგადოებისა,—ასე ვსთქვათ,—სარდალია, გზის მაჩვენებელია მასსისა და ვაი იმ ერს, იმ საზოგადოებას, რომელი ერისა თუ საზოგადოების მოწინავე ნაწილი თითონ გზა-კვალ აბნეულია და ერთი გადაწყვეტილი აზრი არა აქვს ერის შინაურ საქმეების მოსაწყობათ.

შინაურ საქმეების მოსაწყობათ მეთქი იმიტომ ვამბობთ, რომ საერთო პოლიტიკის გარეშე არსებობს წმინდა შინაური პოლიტიკაც—ასეთია სხვათა შორის ხალხის, ერის მომზადება ამა თუ იმ საერთო მოვლენისათვის, ამა თუ იმ მომავალისათვის.

ჩვენ რამდენჯერმე გვითქვამს, რომ თუ კაცს თავისი ოჯახი არა აქვს მოწყობილი, სხვის ოჯახს ის ვერ მოუვლის. ჩვენი ოჯახი კიდევ ჩვენი ერია და თუ საეროვნო ცხოვრება ერთ კალაპოტში არ არის ჩაყენებული, თუ დიდი და პატარა ერთს ფიქრს არა ჰფიქრობს, ერთ გზას არ ადგია, ერთი ხაზი და ლარი არა აქვს გავლებული, შინაური ცხოვრება უეჭველად აიწეწება და გარეულების სათრეველი გახდება.

საუბედუროთ ეს საანბანო ჭეშმარიტება დღემდის ჩვენში სადავო კი არა, თავპირ სამტვრევი იყო.

მთელი 15—20 წლის განმავლობაში ამ საანბანო ჭეშმარიტების ძიებაში კი არა, კიცხვა-გმობაში ვიყავით და იქამდი გავამწვავეთ საქმე რომ ერთი ბანაკის ქართველი მეორე, ბანაკისას მოსაკლავათაც კი არ ინდობდა.

დღესაც მასსაში ჯერ კიდევ იმდენი შხამია დათესილი, რომ ვინ იცის როდის გამოვფხიზლდებით?

ვინც იცნობს ჩვენ სოფელს, ვინც იცნობს მშრომელი ხალხის წრეებს, ვინც დაჰკვირებია ამა თუ იმ ჯგუფის მეთაურებს, ის დაგვეთანხმება, რომ ჯერ კიდევ ბევრი მსხვერპლია საჭირო ჩვენი შინაური საქმეების მოსაგვარებლათ.

აკაკის გარდაცვალებამ, მისი კუბოს წინაშე თავმოყრილმა მასსამ, ხალხმა თითქოს იგრძნო ეს საერთო ჩვენი შეცდომა და ალიარა კიდეც ერთობის საჭიროება

დიდი კაცის სიკვდილიც სასარგებლო ყოფილა!

აკაკიმ საძირკველი ჩაუ[illegible] ლად შეერთების საქმეს და[illegible] დილით დაადასტურა, ყველ[illegible] ამ ერთობის საჭიროება.

ამ დღიდან თითქმის ახალ[illegible] ყება ჩვენში არსებულ ჯგუფების ცხოვრებაში.

ჩვენ გვწადიან დავიჯეროთ, რომ შემდეგში უკეთესი პირობები შეიქნება ეროვნულ ნიადაგზე სამუშაოთ და იმდენი განსაცდელი აღარ დაადგება ამ ნიადაგზე მომუშავეთ.

და ეს რომ ასე იქნება ამის საბუთს გვაძლევს, არა მარტო საერთო გლოვა დიდებულის მამულიშვილისა, არამედ სიტყვა და ქადაგება ცნობილის და მასსაზე დიდათ გავლენიანის მოღვაწეებისა.

აი რასა სწერს ცნობილი ნოე ჟორდანია აკაკის შესახებ:

> აკაკი ჩვენი საზოგადო ზნეობის უდი[illegible] დესი და უძლიერესი დარაჯია: ამიტომ ის ვერ თავსდებოდა ვერც ერთ ჯგუფ[illegible] მისი მუზა ვერ ურიგდებოდა ვერავით[illegible] არტახებს, ვერავითარ შებორკვას, ის ეხ[illegible] და ყოველთვის სრული თავისუფალი და დამოუკიდებელი, რომ უმაღლესი დანიშნულების შესრულება შესძლებოდა. მისი ერთად-ერთი არტახები მისი მთავარი მოტი[illegible] ვი დემოკრატიული და ოპოზიციური სულის-კვეთებაა; ამ მერანიდან ის არასოდ[illegible] არ ხტება და მას ერთგულათ ემსახურება, აკაკი მუდამ და ყოველთვის ყოველგან და ყველაფერში თავისთავათ რჩება, ის უგალობს თავისუფლებას, მაღალ ზნეობას და სამართლიანობას. მისი პიროვნება უადრესათ მთლიანი და ჰარმონიულია; მისგან ვერ ჩამოსჭრი ერთ მცირე თვისებასაც კი ისე, რომ მთელი სულიერი სხეული არ დაიშალოს. აკაკი უდიდესი ზნეობრივი პიროვნებაა. მხოლოდ ასეთ პირს შეეძლო ემხილა ჩვენი სიდუხჭირე და ეს მხილე[illegible] ჩვენ უპროტესტოთ, დამსახურებულათ მ[illegible]

დღეს რა მოხდა.

ავსტრო-გერმანიის ასპარეზი.

მეზოლაბორჩისა და სანას რაიონებში თავგანწირული ბრძოლა ხდებოდა. ამ ბრძოლაში ავსტრიელები დამარცხდენ.

მდ. ლომნიცისა და ლუკვის ნაპირებზე შეტევებს განვაგრძობთ. დავიკავეთ მთელი რიგი სოფლებისა.

გალიჩის გარშემო იერიშებს ვაწარმოებთ.

ოსოვეცზე ზარბაზნების დაშენა კვლავ გძელდება.

ნემანსა და ვისლის შუა მედგარი ბრძოლა დაიწყო. ჩვენი ჯარი ბრძოლით წინ მიიწევს.

ჩვენი ჯარი სტანისლავოვში შევიდა და გადავიდა მდ. ლუკვაზე.

დასავლეთის ასპარეზი.

ფრანგ მფრინავმა გაპნომ ყუმბარები ესროლა და ცეცხლი გაუჩინა გერმანელების წამლის საწყობს.

გერმანელების ჰაეროპლანმა ფრანგების ლაზარეთს ყუმბარები ესროლა. როტფელოსთან შამპანიაში ფრანგები წინ მიიწევენ.

ვერდენთან ჩამოაგდეს გერმანელების ჰაეროპლანი.

გერმანელების წყალქვეშა ნავი „У 8“ ფრანგების კონტრნაღმოსანმა ჩასძირა. ეკიპაჟები დაატყვევეს.

დარდანელთან.

დარდანელზე ყუმბარების დაშენა გძელდება.

გემმა „საფარმა“ ყუმბარები დაუშინა ოსმალების ბატარეებსა და ჯარს. მცხოვრებლები გარბიან.

სტამბოლის აღების მოლოდინში ხალხი შიმშილის შიშს განიცდის.

ქრისტიანები ოსმალეთში ჟლეტას მოელიან.

ფიქრობენ, საბერძნეთი ამის გამო ომში ჩაერევაო.

ბუდო. აკაკი ისეთ მწვერვალზე იდგა, რომ მას ვერავინ ტალახს ვერ ესროდა, ვერავითარ ქვენაგრძნობას და ანგარებას ვერ დასწამებდა. ის მზესავით მუდამ ნათელი და მოღიმარი, სპეტაკი და პირდაპირი, ერთნაირათ ათფობდა თვისი შუქით ყველას, მის მტერსაც კი. აკაკი არასოდეს არ იმეტებს ადამიანს მთლათ; ერთნაირათ ის ესვრის მას ისარს, მარა ესვრის მის რომელიმე სიდუხჭირეს, მის საძრახ თვისებას, ხოლო თვით ადამიანს ტოვებს ხელშეუხებლათ; მას არ ავიწყდება, რომ ქრისტემ ავაზაკებშიაც კი ადამიანი დაინახა. აკაკის მუზა არის დამსჯელი და მოსიყვარულე, ტკბილი და მწარე, რთული და სადა, ეს კონტრასტები, რომელნიც ცალცალკე აღებული არავის არ მოსწონს, აკაკში შეერთებულ-შედუღებულია ერთ მთლიან უცხო სანახაობათ. ვინც მას ერთხელ იხილავს, მუდამ მისი ნახვა მოუნდება. ვინც ერთხელ წაიკითხავს მის ლექსებს, მას მუდამ მისი კითხვა მოენატრება.

ჩვენ არ ვიცით, როგორ ესმის პატივცემულ ნოეს „საზოგადო ზნეობა“, არც ის გვინდა გავიხსენოთ „ესროდენ თუ [illegible] ზოგიერთები „ტალახს ჩვენ დიდე-[illegible]“ მის სიცოცხლეში, მაგრამ ეს [illegible], რომ აკაკი **სულით და გუ-[illegible]თველი იყო**, მთელი თავისი [illegible] „პარტიებს გაურბოდა და არც [illegible] არ ეკუთვნოდა, მისი **დასა იყო საქართველო.** მისი საზრუნავი იყო ქართველი ერი მთელის თავის თავისებურობით, მთელის თავისის წარსულითა და მომავლით. და როცა ამისთანა კაცის წინაშე ქედს იხრიან, სჩანს დამდგარა ხანა, რომლის შემდეგაც **მამულიშვილობა და ამა თუ იმ დასს გარეშე დგომა** სალანძღავ სიტყვებათ აღარ იქნებიან და თითოეულ ჩვენთაგანს—პატარა და გულწრფელ ქართველსაც—საშუალება მიეცემა გულმშვიდათ ემსახუროს თავის ერის გამოფხიზლების საქმეს.

აი ერთხელ კიდევ რა უნდა აღვნიშნა დღეს ჩვენ.

ომი.

პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.

რუსეთ-გერმანიის ასპარეზი.

პეტროგრადი. 20 თებერვალი. ოფიციალური უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. ვისლის გაღმა რაიონში მდგომარეობა უცვლელია. გალიციაში ბრძოლა უმთავრესათ მეზოლაბორჩისკენ ხდება, კოზიუვკისა და გალიჩის რაიონში, აგრეთვე ბრძოლა ხდებოდა სხვა რაიონებშიაც. აქიდან ჩვენ ერთი დღე და ღამის განმავლობაში ტყვეთ წამოვიყვანეთ 14 აფიცერი და 1300 ჯარისკაცამდი. აქ ჩვენ ერთ ერთ პუნქტზე კონტრიერიში მივიტანეთ მტერზე და ავსტრიისა ჯარის ექვსი როტა თითქმის სულ ამოვწყვიტეთ, 17 თებერვალს ავსტრიელები განაგრძობდენ საერთო იერიშს ჩვენი ჯარის საერთო წყობის წინაამდეგ, მეზოლაბორჩიდან დაწყებული სანამდი, უმთავრესათ კი რაბზემდი. დილიდან საღამომდი არ შეუწყვეტია მტერს თოფითა და ტყვიისმტყორცნელით სროლა. ამ ბრძოლაში მტერმა დიდი ზარალი ნახა. მტერი ბრძოლის დროს თანდათან იშველებდა ჯარის ახალ ახალ ნაწილებს. დიდი უმაგალითო ბრძოლა იყო მთელი დღის განმავლობაში. საღამოს გამოირკვა, რომ გამარჯვება ჩვენს მხარეზე იყო. მათ არასოდეს ასეთი დამარცხება არ უნახავთ. ამ დღეს ჩვენ წამოვიყვანეთ ტყვეთ 14 აფიცერი და 1000 ჯარისკაცამდი.

ტვორილნოსა და ლუტოვინსკის რაიონში 16 თებერვალს ღამით, მტერმა ოთხჯერ ზედიზედ მოიტანა სასტიკი იერიში, მაგრამ უკუვაგდეთ ოთხჯერვე. კოზიუვკასთან გერმანელებისაგან დაწყებული იერიშები მათთვის ზარალით დამთავრდა. მათი ჯარის ორი როტა უკანასკნელ კაცამდის მოვსპეთ. მდინარე ლომნიცისა და ლუკვის ნაპირებზე ჩვენი იერიშები შესამჩნევათ გრძელდება. აქ დავიკავეთ სოფლების მთელი რიგი, წამოვიღეთ ოთხი ზარბაზანი, ერთი ტყვიისმტყორცნელი. აგრეთვე წამოვიყვანეთ მრავალი ტყვე. 18 თებერვალს ჩვენ დავატყვევეთ 50 აფიცერი და 3 ათასი ჯარისკაცამდი. ხელში ჩავიგდეთ 30 ტყვიისმტყორცნელი. გალიჩის გარშემო ჩვენი იერიში გრძელდება. ვისსეჩინკისა და ცენჟკოვის ძალით გამაგრებულ პოზიციებიდან 15 თებერვალს ჩვენგან ტყვეთ წამოვიყვანეთ 46 აფიცერი და 4079 ჯარისკაცი, ვიხელთეთ 6 ტყვიისმტყორცნელი. 5 თებერ.—15-მდის ამ რაიონებიდან სულ ჩვენ დაგვიტყვევებია 640 აფიცერი და 7579 ჯარისკაცი. ჩვენი ნადავლია 12 ტყვიისმტყორცნელი, სადევიზიო ურმები. ლაზარეთი და ექვსი ტყვე ექიმი. მთელ სტანისლავოვის რაიონში 8 თებერვალ.—19-მდის. ჩვენ წამოგვიღია მტრის 5 ზარბაზანი, 62 ტყვიისმტყორცნელი დაგვიტყვევებია 133 აფიცერი 18522 ჯარისკაცი, 519 ცხენი და სხვა.

პეტროგრადი. 20 თებერვალი. იუწყებიან, რომ პრასნიშთან ბრძოლის დროს ჩვენ წამოგვიღია 12 ზარბაზანი. 29 ტყვიისმტყორცნელი თავის „პოვოზკებით“. 122 წამლის ყუთი, ჰაეროპლანი და აურაცხელი ურემი. გროდნოსთან დატყვევებული გერმანელები ამბობენ, რომ მათ ოთხი დღის განმავლობაში პური არ მიუღიათ და ცხელ საჭმელს კი მხოლოდ სამ დღეში ერთხელ იღებენ. ყოველ როტაში 70 კაცამდი კუჭით ავათმყოფია. ზოგიერთი ამ როტა თითქმის განახევრდაო. ოსოვეცის ციხეს მხნეთ გადააქვს საალყო სროლა. საციხოვნო ბატარეა შეუწყვეტლათ უპასუხებს.

პეტროგრადი. ოფიციალური. 20 თებერვალი. ნემანსა და ვისლას შუა მდებარე მთელ ფრონტზე სასტიკი ბრძოლა დაიწყო ზოგიერთ რაიონში. ჩვენი ჯარი ბრძოლით წინ მიიწევს. სოფ. მოცარჟესთან ჩვენ დავატყვევეთ ოთხი აფიცერი, რამდენიმე ასეული ჯარისკაცი და ვიხელთეთ ზარბაზნები და ტყვიისმტყორცნელები. დატყვევებულია გერმანელები აგრეთვე სადგურ კონოპკასთან სიმაგრის აღების დროს. ავსტრიელთა იერიშები გუშინ უფრო მოისუსტებდა. აღმოსავლეთ გალიციაში, ჩვენი ჯარი ძლევამოსილათ შევიდა გუშინ სტანისლავოვში და გადაიარა მდ. ლუკვა.

დასავლეთის ასპარეზი.

პარიზი. 20 თებერვალი. ოფიციალურათ იუწყებიან, რომ გუშინ მფრინავმა კაპიტანმა გაპნომ ყუმბარები დაუშინა და ცეცხლი გაუჩინა გერმანიის წამლის საწყობს. როტკელოსთან გერმანიის აეროპლანმა ყუმბარა ესროლა ჩვენ ლაზარეთს.

პარიზი. 19 თებერვალი. ოფიციალური ცნობა. ბელგიაში, დიუნების რაიონში არტილერიამ მტერს დიდი ზარალი მიაყენა. ჩვენმა ქვეითმა ჯარმა დაიკავა კიდევ ერთი თხრილი. შამპანიაში ჩვენ განვაგრძობთ წინსვლას. გარდა ამისა პერტისა და მენილიეს ახლოს ჩვენ ძლიერ გავაფართოვეთ პოზიციები, სადაც ჩვენ წამოვიყვანეთ 100 ტყვე გერმანელი. ტყვე გერმანელები ამბობენ, რომ მტრის ორივე გვარდიის პოლკი, რომელნიც გუშინდელ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდენ საშინლათ დამარცხდნენო.

ფერდეპარისთან და ვოკუასთან ჩვენ უკუვაგდეთ მტრის იერიში. ვერდენთან ჩვენ ჩამოვაგდეთ გერმანელების აეროპლანი. ორი მფრინავი და აპარატი დავატყვევეთ.

გერმანიის წყალქვეშა ნავის დაღუპვა.

პარიზი. საზღვაო სამინისტრო იუწყება: გერმანიის წყალქვეშა ნავი „У. 8“ ჩასძირა კონტრ-ნაღმოსანმა „დურ[illegible]მა“. ნავის ეკიპაჟი ტყვეთ წამოიყვანეს.

დარდანელთან.

ლონდონი. 20 თებერვალი. [illegible] საადმირალო იუწყება, რომ დარდანელზე ყუმბარების დაშენა კვლავ გრძელდებოდა ოთხშაბათს, 18 თებერვალს. ფლოტის უფროსმა ადმირალმა ჯერ კიდევ ვერ შეგვატყობინა თუ რა შედეგი მოყვა ჩვენი ფლოტის სრუტეს შიგნით მოქმედებას. სამხედრო გემმა „დუბლინმა“ დაანგრია სრუტის შესავალში მდებარე საზვერავი პუნქტი, გამგინაევის ნახევარ კუნძულზე.

„საპფარმა“ ყუმბარები დაუშინა ოსმალების ბატარეებსა და ჯარს სხვადასხვა ადგილას. ჩვენი ყუმბარებისაგან სულ გაფუჭებულია მტრის 40 ზარბაზანი, ჯავშნიანმა გემებმა ყუმბარები დაუშინეს ფორტ „ბულაისს“ და დაანგრიეს კავკასიის ხიდი.

ათინა. (დაგვიანებულია). დარდანელზე ყუმბარების დაშენა გრძელდება მოკავშირეთა ფლოტის სასარგებლოთ. დანგრეულია რამდენიმე უმაგრეს ფორტთაგანი და რამდენიმე სიმაგრე, სადაც ააფეთქეს საარტილერიო ყუმბარებისა და წამლის საწყობები. მოკავშირეთა რაზმებს შეტაკება მოუხდათ ოსმალების ჯართან და აიძულეს გაქცეულიყვნენ. შიშით შეპყრობილი სრუტეს ნაპირის მცხოვრებნი სტოვებენ საცხოვრებელს და გარბიან. სტამბოლის აღების მოლოდინი შიმშილის შიშს იწვევს, რასაც შეუძლიან ქრისტიანების ჟლეტა მოყვეს ოსმალეთში. ეს გარემოება კი საბერძნეთს აიძულებს თანამემამულეთა გამოსასარჩლებლათ ჩაერიოს ბრძოლაში. საბერძნეთის საზოგადოებრივი აზრი ომში ჩარევას ემხრობა.

სხვა და სხვა ამბები.

პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოსაგან.

პეტროგრადი. სახალხო განათლების მინისტრის თავმჯდომარეობით გაიხსნა საოლქო მზრუნველთა თათბირი.

სოფია. 19 თებერვალი. დიდის ზეიმით გადახდილ იქნა სანსტეფანეს ხელშეკრულობის წლის თავი.

ტოკიო. 20 თებერვალი. იაპონიის მთავრობამ ჩამოართვა ჩინეთ-გერმანიის ბანკს ციndaoში 1 მილიონნახევარი ენი. ფიქრობენ, რომ ბანკს კიდევ უნდა ქონდეს 1 მილიონი და 800 ათასი ენი, რომელიც გერმანიის ეკუთნის. დაატყვევეს გერმანიის ქონებათა გადამმალავი, ცინ-

---

ნტის დღიურიდან.

13 ოქტომბერი.

[illegible] ჩამოვედი მოსკოვს... მოვ-[illegible]ვარელ და სატრფიალო სამ-[illegible]

[illegible], რომ მეცნიერების ტაძარში [illegible] მსხვერპლის შეწირვა, უსისხლო, იდეალურის მსხვერპლისა... და ამის შემდეგ, განწმენდილი ცოდვათაგან და აღჭურვილი ცოდნით, გავეშურო სამშობლო მხარეს და ზვარაკად შევეწირო ჩემს მრავალტანჯულ ერს...

ოჰ! დიადია მიზანი ჩემი, მაგრამ საშუალება? შეეფერება საშუალება მიზანს? არა და არა!

მეცნიერების ტაძარი, შორს, ჩრდილოეთში, მოკლებული სამშობლოს გამაცისკროვნებელ მზის სხივებს—უტყვია ჩემი გრძნობისათვის და ცივი, ვით თვით ეს ქვეყანა!

ტაძრის შუაგულ ფუსფუსით დადიან მოგვნი, ქურუმნი, ასრულებენ მღვდელმსახურებას ჩემთვის უცხო ენაზე, ავედრებენ არა ჩემს ერს, არა ჩემს სამშობლოს!..

გული მიღონდება, ლოდი მაწვება... მღვდელ-მსახურებას ისმენს მრავალი ხალხი, მეც მათში ვარ. ყველა ლოცულობს და ევედრება უზენაესს. მოსთქვამს თვის პირ-ვარამზე. მე არ მესმის მათი ბოღმა-მწუხარება, სულ სხვა არის ჩემი და ჩემი ერის გულის ზრახვანი...

რატომ ერთად არ ვლოცულობთ მე და ის? რატომ მოვედი აქ?

„...რომ მსხვერპლის შემდეგ, ცოდნით აღჭურვილმა...“

მაგრამ იქ კი არ შეიძლებოდა? განა შეიძლება ეგზოტიურმა მცენარემ *) სამშობლოს გარეშე რიგიანი ყვავილი მოისხას? ჩემი დანიშნულება ხომ ჩემი ქვეყნის სამსახურია—და მერე შევიძლებ ამას? განა შეიძლება ემსახურო იმ მშობლიურ ერს, რომლისგანაც მოწყვეტილი იზრდები? არ გესმის მისი კვნესა,

მუშის ოფლში გაწურვა..

ამ ყოფნაში შეუძლებელია ნაყოფის მოტანა... ეხ, საბრალო სამშობლოვ!!!

22 ოქტომბერი.

ყველამ დამივიწყა, სახლიდან წერილები არ მომდის. უკანასკნელად მამა მწერდა: „...შვილო, წერილი მარტო რას გიკეთებს, უნდა გეხმარებოდე რამეთი. მაგრამ, რომ არ შემიძლია! თვალები ცრემლებით მევსება, რომ წერილს გწერ და ფულს კი ვერ გიგზავნი...“

მართალია მამა ჩემი! არა აქვს შეძლება. წელზე ფეხს იდგამს, მაგრამ ცოლშვილი მაინც მშიერია. „რომ სადმე ახლოს იყო, შვილო, ქუთაისში, თბილისში... ფეხით ჩამოვიდოდი და მოგიტანდი ფქვილს, ქათამს, ყველს და შიმშილით მაინც არ მოგკლავდი. ახლა კი, სადა ხარ, ბაბავ, სადღაც „ცინდირში“, რა ვქნა?..“

ოჰ, ისევ მომშხამვა სულიერი სიმშვიდისა! გრძნობა იმისა, რომ ოთხი დღე-ღამის სავალზე ხარ მოშორებული შენს კარ-მიდამოს! აბა ასეთ მომშხამველ წერილის ნაცვლად სულ რომ არ მივიღო წერილი, ის არ მირჩევნია?..

რა ვქნა, მამა ჩემო! ერთით შენი ტანჯვის შესამსუბუქებლათ ჩამოვედი აქ, რომ სწავლის გათავების შემდეგ გამოგიშვა უღლიდან... მაგრამ რომ პირობები უბედურია?!!

დიახ, მართალია, და ათასჯერ მართალია მამა ჩემი! მას აქვს უფლება მოითხოვოს შვილის აღზრდა იქ, სადაც თვითონ შეეძლება: „ქუთაისში, თფილისში და არა სადღაც „ცინდირში“. ის მშრომელი მოქალაქეა, შრომით კვებავს ოჯახს, ოფლში იბანება და ეს არ უნდა უზღოთ მას?

ვაი, საბრალო მამავ, საბრალო სამშობლოვ!

12 ნოემბერი.

საავათმყოფოში ვწევები. ოპერაციის გამიკეთებენ. ოჰ, რა ბურუსით მაქვს მოცული სული და გული. სად მოვკვდები?!! მახსენდება დიდებული შოთას სიტყვები:

„ვაჰ, სოფელო, რა შიგან ხარ,
რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა,—
სადაურსა სად წაიყვან,
სად აღუფხვრი საით ძირსა!..“

19 ნოემბერი. ვრჩები. გამიმტყუნდა წინად-გრძნობა. მეშინოდა უცხო მხარეში სიკვდილისა!

აბა, ახლა წავიკითხო გამოსათხოვარი წერილები!

ვიღებ მაგიდის ყუთიდან ერთ-ერთ კონვერტს. ზედ აწერია: „ჩემს მიჯნურს“.

ოჰ, რა ბედნიერი ვარ, რომ ეს უკანასკნელი უსტარი არ არის, ჩემო ნინო!

ვკითხულობ:

„ბედნიერების ჰანგების მომღერალო, ჩემი გულის პოეტო, ნინო!

აჰა, აღსრულდა! „შეწყდა აკორდი, ჩაჰქრა კანდელი“...

მწერდი შენ ერთს შენს მომხიბლავ და ლამაზ ლექსში!

ნუ თუ მე მიძღვნიდი მას, ჩემო სულის დგმავ?

...იმედია, აწი უფრო სევდის ჰანგზე ააწყობ შენს ხევსურ ქნარს და საღამოობით ჩემს სასაფლაოსთან მოხვალ, ჩამოჰკრავ სიმებს და ღვთაებრივ გალობას ჩააქსოვ მწარე ქვითინს...

ველ-მინდორი, დაღვრემილი ბულბული, თუ ნაზი ია და შენი წკრიალა ჰაეროვანი ხმა მხატვრული დეკორაცია იქნება... იქვითინე, ნინო ჩემო, იგლოვე სულის მეგობრის დაკარგვა. ახლად შეთხზული ლექსი მე მიძღვენი“...

ხა, ხა, ხა! რა სანტიმენტალობაა, ღმერთო ჩემო! როგორ გამოიცვლება ხოლმე ადამიანი! განა შეუძლია ნინოს წარმოიდგინოს, რომ მისი „იდეით გატაცებული, ჰკვიანი ვანო“ ასეთ სისულელეს დასწერდა?

მადლობა განგებას, რომ არ წაუკითხავს ეს ჩემი წერილი!

26 დეკემბერი. სამშობლოდან წერილი მომივიდა. მამა გულ-საკლავ ამბებს იწერება. ჩვენი მხარე თათრებმა საფრთხეში ჩააგდესო. წერილს 21 დეკემბრის თარიღი აქვს. ერთ ალაგას წერს: „შვილო, გუშინ ხმა გავრცელდა, რომ ოსმალთა ლაშქარი აბასთუმნის უღელტეხილს მოადგაო. ხალხი დრტვინავს. ქალაქები იცლება. სასწავლებლები ჩრდილო-კავკასიაში გადააქვთ. როდის მოგველის მტრისგან აწიოკება, ვინ იცის. შვილო, შენ მაინც თავშესაფარ ალაგას ცხოვრობ. ფეხი არ დაძრა იქიდან. ოჯახში შენ მაინც გადარჩები უვნებლად. დედამ და ბავშვებმა თვალებში კოცნა გამოგიგზავნეს“...

რა გულსაკლავია, ბედო ჩემო, ასეთი წერილის მიღება! ფეხი არ დასძრაო—მერე და რა გამაჩერებს, როდესაც სამშობლოს ასეთი დღე ადგია! ხომ უნდა მაწამოს სინიდისის ქენჯნამ! მაგრამ, აბა რას ვარგებ ახლა სამშობლოს ჩემის ჩასვლით: ჯან-ღონე მე არ შემწევს, სამხედრო ცოდნა მე არა მაქვს. ხალხის დამშვიდება და დაიმედება? ამისათვის ჩვენი პრესა საკმაოდ ღონიერია... სხვა რომ არა იყოს რა, ფულია საჭირო წასასვლელად. სად ვიშოვო? გრიშას გუშინ მანეთი ვესესხე და არ ჰქონდა, ლადო მე მეხვეწება ფულის შოვას. კიწმარიშვილს ფული ჰქონდა, მაგრამ...

— სამოვარი შემოვიტანო? დამეკითხა ამ დროს გოგო.

— შემოიტანეთ, გულცივად ვებნები, რადგანაც ვიცი, რომ ცოტა ხნის შემდეგ ისევ წყალ-მოუკლებლად უნდა წაიღოს: პური და შაქარი არა მაქვს.

ღმერთო ჩემო, როდემდის უნდა ვიტანჯო ასე? ამ საღამოს მშიერი დაწოლილხარ, კარგი! ხვალ დილას, საღამო!, სადილი, ზეგ, მა-ზეგ?!

ოხ, დასწყევლოს ღმერთმა მუცლის მომგონი: კარგი იქნებოდა, რომ თვეში ერთხელ მაინც გვინდომოდეს საჭმელი... რა სასულელეს ვამბობ... მერე და მდიდრებს რა ეშველებოდათ, რომ ასე მოხდეს: ხომ დაულპათ ყველაფერი და უჭმელობით ჯავრით უცბათ ჰკუაზე შეიშალენ!

აი, შეხედეთ, კუჭმა ყველაფერი დამავიწყა... ეხ, ჩემო იდეებო, „ჩემო იდეი[illegible] გატაცებულო, ჰკვიანო ვანო“!!

ტყვილა უსაყვედურებ თავს, არაფე[illegible] დამვიწყებია!

27 იანვარი. გარდაიცვალა აკაკი, მშვ[illegible]ნიერება საქართველოისა! ნინო, ეს რა მ[illegible]ხი დამეცა, ჩემო ნინო!

ოხ, საქართველოს წარბ-შეუხრელო ამი[illegible]რანო, რათ დასტოვე შენი ობლად შთე[illegible]ნილი და მრავალტანჯული სამშობლო! მხცოვანო მამავ ჩვენის ეროვნულის პოეზიისავ, საით მიილტვის ახლა მრავალ-ფეროვანი სული შენი??

ახლა კი უნდა წავიდე სამშობლოში, რომ უკანასკნელად თაყვანი ვსცე ღვთაებრივ მგოსანს.

ოხ! რა ბედნიერი ვარ! გუშინწინ, სრულიად მოულოდნელად, ბიძამ (რომელი[illegible] მკვდრად მეგულებოდა) 30 მან. გამომიგზავნა. ახლა კი მეძლევა საშუალება წავიდე, წავიდე ჩემს სამშობლოში და თვალი მოვავლო ძაძით შემოსილ საქართველოს მიდამოებს!!

მივდივარ დეპეშის გასაგზავნად. გზ[illegible] ლადო შემხვდა. ვუზიარე გულის კვნ[illegible] ისიც მზათ არის წამოვიდეს.—მაშ დე[illegible]შები?

— ოჰ, დეპეშები!

— მოვდივარ ვანო.

ლადომაც დეპეშა გაგზავნა.

საღამოს მატარებელი სიჩქარით მიგვ[illegible]ქროლებდა საქართველოსაკენ.

2 თებერვალი. საქართველო მოს[illegible]ქვამს, ძაძით-ფლასით შემოსილა... ირგ[illegible]ლივ სტირიან...

8 თებერვალი. უკანასკნელი დღეა აკ[illegible]კის ჩვენთან ყოფნისა. მშვიდობით, მშვ[illegible]და ჩვენი ქვეყნის მოამაგე, მგო[illegible]სანო!

სტუდენტი ვან-ჯანიძე.

---

*) ეგზოტიური მცენარე—სხვა ქვეყნიდან გადმოტანილი მცენარე.

ზამთარი.

ვხედავთ ზამთარს გადაეკრა ფიფქი—თოვლის ნაზი ქულა,
სუსხ ნაკრავი ბუჩქი მდელო აღარა ჩანს დაფარულა,
არ შებრალდა ბუნება'ა ზამთრის დროზე შლილი ვარდი,
და ყვავილებს კუკურ ჩვილებს ველარ არხევს სიო მარდი.

— —

მზეს ღრუბელი გადაეკრა ხალხის ცრემლით გამაძღარი,
სისხლის წყარო მიწას არღვევს, მტრის ხელიდან დანაღვარი,
მიდის ჟამი, ჩვენც მიგვყავართ, ბედის მდურვით განაწყარი,
რა დაგვიხსნის, სამართალი? მაგრამ იგი რომ არ არი?..

პასიკო.

დაოს ყოფილი სამოქალაქო გუბერნატორი გიუნტერი.

ლონდონი. მთელი პრესა აღტაცებით ეგებება აღმოსავლეთის ასპარეზზე რუსის ჯარის მოქმედებას. „ტაიმსი“ ამბობს: რუსის უმაღლესმა სამხედრო სარდლობამ და რუსის ჯარის სიმამაცემ უკვე მეტი შეასრულეს, რასაც ჩვენ მათგან მოველოდით. „ვესმინისტრ გაზეთი“ სწერს: აღმოსავლეთ ფრონტზე მომხდარი სამხედრო მოქმედება ერთხელ კიდევ ამტკიცებს, რომ სასარდლო შემადგენლობა და სამხედრო ხარისხები, რომ შევადაროთ ორივე მოპირდაპირისა, დავინახავთ რომ რუსეთის სამხედრო მექანიზმი უფრო მაღლა სდგას ვიდრე გერმანიისა.

„პელმელ გაზეტ“-ის სიტყვით, არავის ჯერ ასეთი მდევური მუშაობა, ასეთი სიდიადე კავშირში არ გამოუჩენია, როგორც ეს რუსეთმა გამოიჩინა. და ყოველივე ეს, დასძენს გაზეთი, ხდება რუსეთის მხრივ ცივილიზაციის და ხალხების თავისუფლების სახელისთვისო.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან, რომ გერმანიასა და რუსეთ შორის სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარ სამხედრო ტყვეების გაცვლა-გამოცვლა დანიაში მოხდებაო.

— —

გენერალმა პოს საღამოს 9 საათზე ბუქარესტი მიატოვა და რუსეთისკენ გაემგზავრა.

— —

გუშინ საღამოს ქალაქ მილანში „თეატრო ლირიკოში“ ომის სასარგებლოთ მრავალრიცხოვანი მიტინგი შესდგა, რომელიც სოციალისტ-რეფორმისტებმა და რადიკალებმა მოაწყეს. მიტინგზე სოციალისტების დეპუტატები ბისოლატი და კაპა ლაპარაკობდენ. გაცხარებული ლაპარაკის დროს, პარლამენტის რადიკალურ ჯგუფის მდივანი მოსტი უეცრად გარდაიცვალა. მილანში და მთელს რომში ასეთმა მოულოდნელმა სიკვდილმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მთელი პრესა მოსტის გარდაცვალებას „პატრიოტების ბარიკადებზე სახელოვან სიკვდილს“ უწოდებს.

— —

ფრანგ არდენი გაზეთ „მატენში“ სწერს. როცა იმპერატორი ვილჰელმი შარლვილში მოდის და გაზეთ „პტიტ არდენენ“-ის რედაქტორის სახლს იქირავებს ხოლმე. სახლის ირგვლივ მტრის ავიატორების თავიდან ასაცილებლათ, ტყვის მფრქვეველებს, ზარბაზნებს და უმავთულო ტელეგრაფის აპარატებს აწყობენ. ყოველ ღამეს იმპერატორი ავტომობილით პატარა სანადირო სასახლისაკენ მიემგზავრება ხოლმე, რომელიც ადგილობრივ მცხოვრებლებზე 15 კილომეტრის მანძილზე მოშორებით ტყის შუა გულში მდებარეობს. რადგანაც ამ პატარა ციხე-დარბაზში სინათლე მუდამ ჩამქრალი, ამიტომ ავიატორებს იმპერატორის საბრძანებლისათვის ვერ მიუგნიათო.

— —

შვეიცარიის გაზეთების ცნობით გერმანიის ჯარში ორმოცდა თოთხმეტი წლიანებიც გაჰყავთ.

— —

ვარშავაში ქაღალდი გამოლეულა. ადგილობრივი გაზეთების ზომა ერთ მეოთხედს ლა უდრის.

მაჰმადის დროშა, საღმრთო ომი და ოსმალოები.

მაჰმადმა სიკვდილის დროს დაიბარა მისი მორწმუნენი და უანდერძა: „აი ჩემი საღმრთო დროშა, რომელსაც ვაბარებ ჩემ ნათესავებს“-ო ჩემ მემკვიდრე-ხელიფათ უნდა ინიშნებოდეს ჩემი მემკვიდრეთაგანი. თუკი რომელიმე სარწმუნოების ხალხი გამოილაშქრებს თქვენზე, მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოსპონ ჩემი სარწმუნოება, მაშინ ჩემი მოადგილე-ხელიფა ვალდებულია გამოაცხადოს საღმრთო ომი, გამოიტანოს ეს ჩემი საღრმთო დროშა, წაუძღვეს წინ მუსულმანობას და მაშინ ვალდებული იქნებიან ჩემი მორწმუნენი უკანასკნელ სიხლის წვეთამდის დაიცვან ჩემი სარწმუნოება“-ო.

აი, მაჰმადის საღმრთო ომის და საღმრთო დროშის შესახებ.

ახლა გავითვალისწინოთ მაჰმადის ანდერძი და შევეხოთ თურქებს.

დღეს ხელიფობაცა და საღმრთო დროშაც აბარიათ ოსმალებს—თურქებს, რაც მაჰმადის სურვილისა და ანდერძის წინააღმდეგია. რასაკვირველია, ეს უფლება ოსმალებმა შეინარჩუნეს ძალმომრეობით და არა მაჰმადის ანდერძის მიხედვით.

მაჰმადის ანდერძის მიხედვით თურქებს ნება არა აქვთ საღმრთო ომის გამოცხადებისა, რა პირობებშიც უნდა ჩავარდეს ისლამი, რადგანაც ისინი მოკლებული არიან საღრმთო ომის გამოცხადების უფლებებს.

გარდა ამისა რა შუაშია დღეს, მეოცე საუკუნეში საღმრთო ომი? ვის ცალია ან ვის ეპიტნავება სარწმუნოებისადმი დევნა? მიუხედავათ ზემოხსენებულისა დღეს ოსმალებმა თურქებმა—საღმრთო ომი გამოაცხადეს, რომელსაც მოყვება მაჰმადის საღრმთო დროშის გამოტანაც. ისინი მოუწოდებენ მთელ ისლამს მათი მტრის წინააღმდეგ.

ვსთქვათ, რომ ოსმალებს აქვთ უფლება საღრმთო ომის გამომცხადებისა, მერე რა საფუძველი უდევს ოსმალთა საღმრთო ომის გამოცხადებას? აღარ ვიცი

შეიძლება ოსმალები საღმრთო ომის გამოცხადებას ამყარებენ მაჰმადის შემდეგ სიტყვებზე: „ხუბბულ ვათან მინელ იმან“ ე. ი. (სამშობლოს სიყვარული დამოკიდებულია სარწმუნოებაზე. რამდენათაც გიყვარს შენი სამშობლო, ამდენათვე გეყვარება შენი სარწმუნოებაცო).

ეს კარგი, მაგრამ რა შუაშია დღეს სხვადასხვა ერის მუსულმანები თუნდაც ოსმალები — თურქები განსაცდელში იყვნენ?

რა შუაში არიან დღეს საწყალი აჭარლები, რომ ეუბნებიან (როგორც აზრში წავიკითხეთ) საღმრთო ომი გამოცხადდა და თქვენ რას აპირობთო“.

საწყალ აჭარელს თავისი სამშობლო ვერ დაუცავთ და საიდან დაიცავს სხვისას?

რა შუაში არის ოთხას მილიონამდი მუსულმანობა, რომლებსაც თავისი სამშობლო და დედა ენა აქვთ, თუ შვიდი მილიონი თურქი განსაცდელში არის?!

აშკარაა, რომ ოსმალებმა საღმრთო ომი გამოაცხადეს თავისი ინტერესების დასაცავათ და არა მაჰმადის სარწმუნოებისათვის, მათი მიზანი იყო: საღმრთო ომის გამოცხადებით ესარგებლათ და ოთხას მილიონამდე მუსულმანები, რომლებსაც თავისი სამშობლო და დედანა აქვთ, თავისი ინტერესებისათვის მსხვერპლათ შეეწირათ. მაგრამ ეს ვერ მოახერხეს, თუმცა საწყალი დაბეჩავებული ქართველი მუსულმანობა, თურქების წყალობით მაინც კიდევ გაითელა.

ნათქვამია: „ქალაქში ძმარი დაიქცა და ზარალი სოფელმა გადიხადა“-ო—აი, სწორეთ ასე დაემართა ჩვენ ქართველ მუსულმანებსაც; ოსმალეთმა თურქობის დასაცავი ომი გამოაცხადა—და აჭარა კი გაითელა.

ჰაიდარ—ბეგ აბაშიძე.

ახალი ამბავი.

რედაქციისაგან.

ჩვენ რედაქციას აზრათ აქვს ჰბეჭდოს თავის დამატებაში ადგილობრივი მოღვაწეების სურათებიც (როგორც დღეს არის). ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავებს, საზოგადო დაწესებულებებსა და ჩვენ მკითხველებს მოგვაწოდონ ფოტოგრაფიული სურათები.

✦ ჩვენი გაზეთის დღევანდელ დამატებაში დაბეჭდილი ლექსი აკაკისა ამოღებულია ჟურნალ „განათლებიდან“ № 3 1910 წლის.

✦ ქუთაისის ქალთა საზოგადოების გამგეობამ თავის უკანასკნელ სხდომაზე გადაწყვიტა შემდეგი: 1) მიიღოს თავის თავზე ინიციატივა ფულის შეკრებისა ქუთაისში აკაკის ძეგლის დასადგმელათ. და 2) გახსნას უფასო სასადილო ღარიბ სათადარიგო ჯარის კაცთა ბავშვებისათვის.

ამ კითხვების გასარჩევათ ახლო მომავალში მოწვეულ იქნება საგანგებო საზოგადო კრება.

✦ ორშაბათს, 23 თებერვალს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება ქალაქის საბჭოს მორიგი კრება, და გარჩეულ იქნება შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება ქალაქის გამგეობისა, რათა ეკლარის ქვაზე ნიხრი დაეწესონ. 2) განხილვა, ქალაქის საავათმყოფოს, წესდების პროექტისა და მოსამსახურეთა ინსტრუქციისა. 3) განხილვა ქალაქის, 1915 წლის, შემოსავალ-გასავლის ხარჯთაღრიცხვისა. 4) თხოვნა ქუთაისის დრამატიული საზოგადოების გამგეობისა, რომ გ. ი. გველესიანისაგან თეატრის საჭიროებისათვის ერთი ოთახი დაიქირაონ და სხვა.

✦ როგორც გავიგეთ, ქუთაისში შემდგარი სანიტართა რაზმი ბრძოლის ველზე ამ დღეებში მიჰყავთ.

✦ მსახიობ ალ. იმედაშვილს დაუმზადებია „ოტელოს“ როლი. ქუთ. მსახიობთა ამხანაგობას სურს ბ. იმედაშვილის მონაწილეობით წარმოადგინოს ქუთაისში ტრაგედია „ოტელო“.

✦ ქართ.. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების სტამბამ მთავრობისაგან ნებართვა აიღო ბეჭდოს ყოველგვარი საწარმოვო წიგნები და ბლანკები პროვინციების წვრილი კრედიტის ამხანაგობისათვის.

ხსენებული სტამბა ასეთი წიგნების ბეჭდვას უკვე შეუდგა.

✦ პარასკევს, 20 თებერვალს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგა ქალაქის საბჭოს ფინანსიური და ტეხნიკური კომისიის შეერთებული კრება, რომელმაც განიხილა ქუთაისის წყალსადენისა, განათებისა, ტრამვაისა და კანალიზაციის პროექტის ტეხნიკური მხარეები, რომელიც შეადგინა ინჟენერმა ბ. ქურდიანმა. კრებამ პროექტი მოიწონა და განსახილველათ ახლა იურიდიულ კომისიას გადასცა.

✦ ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის რწმუნებულთა წლიური კრება აპრილში მოხდება.

✦ ქართ. მსახიობთა ამხანაგობა წარმოსადგენათ ამზადებს ჰაუპტმანის ახალ პიესას „დაძირულ ზარს“ თარგ. ინ-ანისა.

✦ შაბათს, 6. ჩხეიძის მონაწილეობით წარმოდგენა გაიმართება ღ. ხონში. ითამაშებენ „უბედურ ნაბიჯს“.

✦ 14 თებერვალს, ქუთაისის პირველდაწყებით სკოლის დარბაზში „კოოპერაციის“ რედაქტორმა იასონ გაბილაიამ დაიწყო სისტემატიური ლექციების კითხვა კოოპერაციაზე „მომხმარებელი კოოპერატივი, მის საქმეთა და ანგარიშების წარმოება“. ლექციები იმართება სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

✦ 19 თებერვალს, ქუთაისის თეატრში „მარგარიტა გოტიეს“ წარმოდგენაზე შემოსავალი იყო 550 მანეთი.

✦ ცენზურში წარმოდგენისათვის ნების დასართველათ გაიგზავნა ახალი ორიგინალური პიესა „ცხოვრების ტალღებში“ შ. სანებლიძისა.

✦ პარასკევს, 27 თებერვალს, ქალაქის თეატრში გაიმართება საინტერესო საღამო. დაწვრილებით შემდეგ.

✦ დღეს, თეატრ „რადიუმში“ გრ. გიორგაძე და ბ. შ. სანებლიძე ლექციებს წაიკითხავენ. ლექცია დაიწყება დღის 12 საათზე.

✦ დღესვე საღამოთი ქალაქის თეატრში ლექციებს წაიკითხავენ 1. ს. ქავთარაძე და ვ. ჯუღელი ომიანობის შესახებ.

✦ სხვადასხვა მიზეზების გამო ჯ. ჯორჯიკიას სურათი დღევანდელ დამატებაში აღარ წავიდა. სურათი შემდეგ დაიბეჭდება.

✦ დღეს, 22 თებერვალს, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში შესდგება მომხმარებელი საზოგადოების „კოოპერაციის“ პირველი კრება. განსახილველია შემდეგი საგნები: 1) ცხოვრების გაძვირება და მასთან ბრძოლა; 2) დამაარსებელთა მოქმედება; 3) მომხმარებელი კოოპერატივის მიზანი და ძირითადი პრინციპები; 4) კოოპერატიული ფურნე და მისი მნიშვნელობა; 5) კოოპერატიული სასადილო და მისი სოციალური მნიშვნელობა; 6) წესდების ძირითადი მუხლების წაკითხვა; 7) კოოპერატივსა და მუნიციპალიტეტის შორის ურთიერთი დამოკიდებულება; 8) წევრების მიღება და სხ.

რედაქციისაგან.

ვაცხადებთ ქარვასლისა, გოსპიტლისა, აბულაძისა, ორპირისა, მესხეთისა, ლებვინაძისა, პეტრეპავლისა, ინჯინრისა, ჰაჯჰავაძისა, ფერმისა, პადგორნის, [illegible] გორისა და ბაღის ქუჩების მცხოვრებ ხელისმომწერთა საყურადღებოთ, რომ ამ ქუჩებზე გაზეთის დამტარებელი **ალექსი შოთაძე** დათხოვნილია [illegible] ვთხოვთ ამ ქუჩების იმ ხელისმომწერლებს, რომელთაც ამ დღეებში გაზეთი არ მისვლიათ გვაცნობონ თავისი მისამართები, რომ თავის დროზე ჩავაბაროთ გაზეთები. ალექსი შოთაძესთან გთხოვთ არავითარი დამოკიდებულობა არ იქონიოთ.

დღეის შემდეგ რედაქცია პასუხს არ აგებს.

✦ 20 თებერვალს ქუთაისის მაღლობებზე ჩამოთოვა. ქალაქში საგრძნობლად აცივდა.

როგორც ოკრიბიდან გვწერენ, 20 თებერვალს იქ დიდი თოვლი მოსულა და ახლად აყვავებული ხეები ერთიანათ მოუწვავს.

მოძრავი წიგნთსაცავები.

როგორც ვიცით ჩვენს სოფლებში, თანდათან ფეხს იკიდებს წერა-კითხვის ცოდნა... მაგრამ სკოლაში შეძენილი ცოდნა არ კმარა მომავალი ცხოვრებისთვის. იქ იძენენ მხოლოდ დასაწყისს ცოდნისას. დანარჩენი სკოლაში ნამყოფს უნდა შესძინოს ცხოვრებამ... ამ მხრით წიგნს დიდი მნიშვნელობა აქვს.

თუ, რომ სოფლის შვილი სწავლის დამთავრების შემდეგ შესწყვეტს კავშირს სკოლასთან, ხელში აღარ აიღებს წიგნს, არ იქნება დაინტერესებული გაზეთით, რა თქმა უნდა, სკოლაში მიღებული მცირეოდენი ცოდნაც დაავიწყდება და მალე უვიცთა რიცხვში ამოყოფს თავს... ამ ნაკლს ადამიანს რამდენადმე თავიდან აშორებს წიგნთსაცავები, რომელთა რიცხვი, თუმცა კუს ნაბიჯით, მაგრამ მაინც თანდათან მატულობს ჩვენს საგაზრდილოში.

ბოლო დროს დასავლეთ ევროპაში და უფრო კი ამერიკაში დიდი ყურადღება მიექცა ერთს ახალს მოვლენას,—მოძრავს წიგნსაცავებს, რომელთა შემოღება რუსეთში ბოლოხანებში დაიწყო და აქ ეს საქმე ჯერ ახალი ხილია, ფეხ-გადგმული არაა.

ცოტაოდენი რამ ამ მხრით გაკეთდა ნოვგოროდის, ოლონეცკის და კოსტრომის გუბერნიებში.

მეტი არ იქნება ამ საქმის ცოტა დაწვრილებით გაცნობა.

1912 წელს, სწერს გაზეთი: „ШКОЛА И ЖИЗНЬ“-ი, პერმის მაზრის მასწავლებელმა პ. ი. კოპისოვმა განიზრახა მოძრავი წიგნთსაცავის მოწყობა. შეადგინა წიგნთსაცავი, რომელშიც იყო 232 წიგნი... ის მოათავსეს სოფელში, სადაც ერთს წელიწადს დარჩა. აღმოჩნდა, რომ 232 წიგნიანი წიგნთსაცავი დიდი იყო და შეუძლებელი იყო ერთის წლის განმავლობაში მისი გაცნობა. ამის გამო ამავე მასწავლებელმა გადასწყვიტა შეადგინა შვიდი მოძრავი წიგნთსაცავი, მხოლოდ თითოში 100 წიგნი უნდა ყოფილიყო.

1912 წლიდან 1914 წლის იანვრამდი, თითქმის ორი წლის განმავლობაში, მოქმედებდა ასეთი წიგნთსაცავები,—რომელნიც შეიცავდენ სხვადასხვა შინაარსის წიგნებს, ასე რომ ერთს წიგნთსაცავს შეეძლო შეევსო მეორეს ნაკლი. წიგნსაცავი უსასყიდლოდ ეგზავნება იმ სოფელს, რომლის მკვიდრნი მას წერილობითი განცხადებით მოითხოვენ. განცხადებაზე ხელი უნდა ჰქონდეს მოწერილი 5 პასუხისმგებელ კაცს. ესენი ვალდებულნი არიან იშოვნონ საკუთარი ოთახი წიგნსაცავისთვის სკოლის გარეშე, რადგან წიგნთსაცავი იმყოფება შინაურ საქმეთა მინისტრის უწყების ქვეშ...

წიგნის კითხვისა და სარგებლობისათვის არავის გადასახადი არ ხდება. მთელი შემადგენლობა წიგნთსაცავისა, სულაა 100 წგნი, ეგზავნება სოფელს სამი თვის ვადით. შემდეგ ამ წიგნთსაცავის მაგივრად იგზავნება იმავე სოფელში მეორე წიგნთსაცავი სხვა შინაარსის წიგნებითურთ. შვიდი წიგნთსაცავის წიგნებს ერთი სოფელი გაიცნობს ოცდა ოთხი თვის განმავლობაში...

წიგნთსაცავი განიყოფება 7 განყოფილებად. მოთავსებულია ხის შკაფში, რომელსაც აქვს 7 განყოფილება. ყველაზე მეტი წიგნი სიტყვა-კაზმულ განყოფილებაშია. შიგნით შკაფში კარზე მიკრულია ქაღალდი, რომელზედაც არის დაბეჭდილი წიგნებით სარგებლობის წესრიგი და ნუსხა წიგნებისა.

15 თვის განმავლობაში წინგთსაცავით სარგებლობდა 7 სოფელი. 4 იმათგანში მეწიგნთსაცავედ იყვნენ მასწავლებელნი,—ხოლო სამში კი—გლეხები. ხელის მომწერი იყო 186 კაცი, თუმცა ნამდვილად წიგნებით ამ რიცხვზე გაცილებით მეტი სარგებლობდა.

ყოველ საღამოზე წიგნთსაცავში იკრიბებოდენ გლეხები: რიგი წიგნს კითხულობდა,—და რიგი სხვის წაკითხულს ყურს უგდებდა. 186 ხელის მომწერთა შორის 36 პროცენტი მოზრდილნი იყვნენ. დანარჩენს, 64 პროც. კი შეადგენდენ ბავშვები, და სიჭაბუკეს მიწევნილნი მამაკაცები—იყო 85 პროც. ხოლო 15 პროც. დედაკაცები. ამათგან ნახევარი იყვნენ პირველდაწყებით სკოლაში კურს დამთავრებულთაგანი.

გაცემულა საერთოდ სულ 2431 უფრო მეტი წიგნი სიტყვა-კაზმულ განყოფილებიდამ წაუკითხავთ. (57 პროცენტი).. მკითხველნი განსაკუთრებულ ქაღალდებზე სწერენ თავის აზრს წაკითხული წიგნის შესახებ. ამასთანავე მკითხველნი თვით იძლევიან ნუსხას იმ წიგნებისას, რომელთ შეძენაც საჭიროა მათთვის. ყოველივე ამის მეოხებით შეიძლება შევიტყოთ, რას უფრო ეტანება სოფლის ხალხი, რაგვარი წიგნი ენატრება და სხვა.

პირველი თანხა მოძრავი წიგნთსაცავისთვის ცოტა იყო. ყველა წიგნები ეღირებოდა 180 მან.,—აქედამ 75 მანეთის წიგნი შესწირა თვით მასწავლებელმა, ზოგი შესწირა ერობამ და ზოგი წიგნი კი—კერძო პირებმა.

მოძრავი წიგნთსაცავის დაარსებას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება... ჩვენი სამშობლო პატარა ქვეყანაა და აქ ეს საქმე ადვილად მოეწყობა. აქამდის მხოლოდ ორი თუ სამი პირი ცდილობდა სოფლად წიგნების გავრცელებას. მაგრამ მათ მიერ წარმოებული საქმე ხომ მოძრავი წიგნთსაცავი არაა?!

ზ. ჭიჭინაძეს, ივანე კერესელიძეს და ქალბ. ან. კაპანაძეს სოფლად წიგნების გავრცელების საქმეში ჩვენში ვერავინ შეედრება... ბევრ ადგილს ჩვენში არსებობს წიგნთსაცავი... ხალხი დადის წიგნის საკითხავად. ასე თუ ისე, მოძრავი წიგნთსაცავისთვის ჩვენს ქვეყანაში ნიადაგი **რამდენ დ**მე მომზადებულია... საკმაოა მცირე ჯგუფმა ამ საქმის განხორციელებას ხელი მოჰკიდოს. და შეადგინოს საცდელად ორი ან სამი მოძრავი წიგნთსაცავი. მას დახმარებას გაუწევს წერა-კითხვის საზოგადოება.

ყოველ შემთხვევაში ამ საკითხის აღძვრა ჩვენ უდროვოდ არ მიგვაჩნია... ჩვენს ხალხს გაღვიძების ნიშნები ეტყობა... და საჭიროა მიეცეს სულიერი საზრდო, ლტოლვილებთა და მისწრაფებათა ფერი. ის სულიერი საზრდო, რომ დღეს ხალხის უმეტესობა იკვებება ნებლად მიგვაჩნია. ათასნაირი ზღ სიზმრის ახსნა, ოსმან-აღას ლალატი, გელმის ღიმილი და სხვა. ფანტასტი შინაარსის დამახინჯებული ქართული დაწერილი ლექსები ვრცელდება ჩვენში... ხალხი მოკლებულია თავის საუკეთესო მწერალთა ნაწერების კითხვას და გაცნობას... ამის ნაცვლად მას აჩეჩებენ ქვას, შხამს..

ყოველივე ამ გარემოებას უნდა მიექცეს ჯეროვანი ყურადღება... გაღვიძებულ ხალხს აღარ შეშვენის კოცნის რაღაც ოცნებურ, მჩატე წარწერებით ტაცება... მას ეჭირვება სერიოზული დამაფიქრებელი საზრდო... ხალხისთ უფრო კი მეტად გამოსადეგი იქნება საგები ენით დაწერილი მეცნიერული წ ნაკები, რომელთ ნაკლებულობა ჩვენშ საგრძნობელია, ხალხისთვის საჭიროა არა მარტო ბელეტრისტიკა, არამედ მეცნიერული წიგნი, რომელიც ნამდვილს ცოდნას შეძენს... და ხალხის ხსნა, მისი სა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სავაჭრო სახლი
„ი. ბოკიელოვის ძ—ბის"
ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

ზ. ხრისტოდულიდისა
მიღებულია.

ვინც თესლს შეგვიკვეთს პირველ მარტამდი არა ნაკლებ [illegible] მელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი [illegible] 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია **ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე**, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.

კეთესო ბედი მეცნიერებამ უნდა გამოჭედოს. ტყუილა ხომ არ ამბობს ბერანჟე.

ცოდნაშია ნებისყოფა,
ცოდნა არის ყველაფერით.
ილ. ფერაძე.

თეატრი და ხელოვნება.

„მარგარიტა გოტიე".

დრამა 5 მოქ. ალ. დიუმა-შვილისა თარგმ. ვ. გუნია და ა. იმედაშვილისა.
გასტროლი ნ. ჩხეიძის ასულისა.
ხუთშაბათი, 19 თებერვალი.

> „მოცეკვავე უნდა ფლობდეს რითმს და იცოდეს მუსიკა, რომ განზომილ ჰქონდეს თავისი მოძრაობა, გეომეტრია, რომ ხაზოს თავისი ნაბიჯი მიწაზე. ფილოსოფია და რიტორიკა, რომ გამოსახოს ზნე და ვნება, მხატვრობა და ქანდაკება, რომ შექმნას პოზა და ჯგუფი. მან უნდა იცოდეს მითოლოგია და ისტორია ქაოსისა და ქვეყნის გაჩენიდან დღემდის.

ეს სიტყვები ეკუთვნის ნერონის დროის გამოჩენილ რომაელთა სატირიკოსსა და ესთეტს ლუკანს. თუ კი ამდენი მოეთხო[illegible] მოცეკვავეს, რას უნდა ველოდოთ [illegible] მსახიობისაგან, როდესაც ცეკვა მხოლოდ ერთი შემადგენელი ნაწილთაგანია თეატრისა.

როდესაც ჩვენ სათუთ ნაწარმოებს ვეხებით, იქ ფონს გასვლა, უსკოლოდ მაინც, ყოვლად შეუძლებელია.

ფრანგ მწერლების ნაწარმოებში უდიდესი ყურადღება მიქცეული აქვს გარეგან ფორმას. ყოველი მათი ნაწარმოები უზადო ფორმაშია ჩამოსხმული. და ეს ფორმა, გარეგანი მხარე, ერთგვარ ხელოვნებას მოითხოვს მსახიობისაგან. ფრანგების შექმნილია ანდაზა „სტილი თვით ადამიანიო", ამიტომაც სახიფათოა და საძნელო მათი ნაწარმოების სცენაზე გამოტანა, განსაკუთრებით ჩვენი დასისათვის. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჩვენ მსახიობთათვის გრაფთა, მარკიზ-ბარონთა წრე—„terra incognita"-ა, ამისათვის მხოლოდ აღვნიშნავ, რომ არცერთი აღმსრულებელი მარგარიტა გოტიესი, თვით მაღალნიჭიერი ქურუმი—ნინო ჩხეიძის ასულიც ვერ იყო დიუმას პიესის სფეროში. პარიზი და ქუთაისი რამდენადაც კულტურულად დაშორებული არიან ერთმანეთს, იმდენად ფრანგული სულისკვეთება პიესისა შორს დარჩა ქუთაისის სცენას. ქ-ნ ჩხეიძის მიერ განსახიერებული მარგარიტა ვერ იყო მომხიბვლელი ფრანგის ასული, რომლის თითოეული ჟესტი, თითის განძრევაც კი ააშკარავებს, რომ იგი პარიზელია. თუ ნ. ჩხეიძემ ვერ სძლია ფორმას, განცდა მისი ჩვეულებრივ ღრმა და მთრთოლვარე იყო. ამ მხრივ იგი ისე მაღლა იდგა, როგორც თვით კავკასიონი, სადაც მყინვარი და იალბუზი აღმართულან. ეს ორი მწვერვალი ჩხეიძის შემოქმედებაში იყო გმინვა, ღმუილი დაჭრილი ვეფხვისა, ბღმოკვნესა დედამიწის, ან ოკეანის უფსკრულისა, როდესაც მარგარიტა იძულებულია მოიშოროს არმანი და მეორე,—როდესაც არმანის მოსვლას გაიგებს სიკვდილის პირს მდგომი მარგარიტა. პირდაპირ სასწაულებრივია, საიდან შესწევს ასეთ სუსტი ბუნების მსახიობს ისეთი ძლიერება შინაგანი განცდისა, რომ მთელ დარბაზს ჟრუანტელი უვლის, გული ეკუმშება და მსახიობთან ერთად იტანჯვის მისი ტრაგიზმით. ნ. ჩხეიძის ნიჭმა დიუმას დრამა ბერძენთა ტრაგედიის სიმაღლემდი აიყვანა. ცნობილია ტრაგედიის დანიშნულება, რომ იგი ტანჯვით განწმენდს ადამიანს და სწორედ, როდესაც ჩხეიძე—მარგარიტამ გაიგო არმანის მოსვლა, ზე წამოიჭრა, ვით გრიგალი მოსწყდა თავის ადგილს და უკანასკნელად მოეხვია თავის სატრფოს. ამ მომენტის კალმით აღწერა ყოვლად შეუძლებელია. აღვნიშნავ მხოლოდ, რომ მსამსახიობის ტანჯულმა სიხარულმა ისე ძლიერად იმოქმედა მთელს დარბაზზე, რომ არ დარჩენილა არცერთი ადამიანი, რომელსაც თვალებზე ცრემლი არ მოსდგომოდეს და ფარდის დაშვების შემდეგ დიდხანს გაოგნებული დარბაზი ვერც კი გამოერკვია.

უნდა აღვნიშნო სიკვდილის მომენტიც: ასე უბრალოდ, მარტივად სცენაზე სიკვდილი მე ჯერ არ მინახავს. ეს აღსანიშნავია მით უფრო, რომ ზოგიერთი ჩვენი მსახიობის სიკვდილი სცენაზე დაკლული ქათმის ფართხალს მოგვაგონებს.

რადგანაც ამ ჟამად ალბად უკანასკნელად მიხდება ჩხეიძის შესახებ რეცენზიის წერა, უნდა აღვნიშნო ერთი რამ. ეს არის მონოტონობა განცდაში. მსახიობს აკლია მრავალ-ფეროვნება, მაჩვენებელი მსახიობის მაღალი კულტურისა და უაღრესი ინტელიგენტობისა. მაგ. მედეაში მსახიობმა თავისი როლი უკვე მეორე (მისთვის პირველ) მოქმედებაში დაასრულა, ასე რომ დანარჩენი მხოლოდ გამეორება იყო იმისა, რაც მსახიობმა მეორე მოქმედებაში მოგვცა, მაშასადამე მოსაწყენიც. მარგარიტა გოტიეს ასრულებაც მოითხოვს მეტს მრავალ—ფეროვანებას. ჩემის აზრით ჩხეიძის სფერო უფრო რომაელ—იტალიელთა და ბერძენთა შემოქმედებაა.

კლასიკურ ტრაგედიებში უნდა სცადოს თავი და ახალ დრამატურგიაში ჩემის აზრით გაბრიელ დ'ანუნციოს მიაქციოს ყურადღება მსახიობმა. იქ უფრო მეტ შესაფერის მასალას იპოვის თავის ნიჭისათვის, ვიდრე ფრანგთა რეპერტუარში.

მეორე მთავარი როლის ამსრულებელი ბ. ზარდალიშვილი სუსტი არმანი გამოდგა. ჰქონდა კარგი მომენტები, მაგრამ მხოლოდ მომენტები. მეტი წილი კი როლისა შეუწყნარებელი გამოვიდა. არ ვიცი რა მიზეზით გრიმიც უხეირო ჰქონდა მსახიობს, ზოგჯერ თითქოს ელამიაო, ისე იყურებოდა, ალბად იმავე გრიმის წყალობით. არმანი ფრანგია, ისიც პარიზელი, რომელმაც კამელებიანი ქალის უსაზღვრო სიყვარული დაიმსახურა ერთხელ მქონდა შემთხვევა და ახლაც უნდა გავიმეორო, რომ ქშენით ტემპერამენტის შექმნა, ან გამოჩენა უვარგისი საშუალებაა და ვნების ხაზგასმით სცენაზე გამოჩენა კიდევ ზოოლოგიაა და არა სცენის ხელოვნება.

აღსანიშნავია ფრიად კარგი ჟორჟ დიუვალი, მამა არმანისა (ბ. ყალიბეგიშვილი). ყველაზე უფრო ის დაუახლოვდა ამ საღამოს ავტორის მიერ დასახულ ფორმას როლისას. ქ. პ. შოთაძე ვერ იყო გარკვეული სახება და ღრმა განსახიერება ნანინისა, მაგრამ ერთი, აქტიორისთვის ძვირფასი თვისება, შევნიშნე ახალგაზდა მსახიობს: ეს არის მთელი საღამო როლის სფეროში ყოფნა, ან როგორც ჩვენ ვეძახით სპეციალურად — „წრეში ყოფნა".

რეჟისორმა (კ. ანდრონიკაშვილი) გვიჩვენა ფრიად მოსაწონი ესკიზი თავისი გამოგონებისა. იმ ყოვლად უვარგისი საშუალებებით, რომელიც აბადია ქუთაისის თეატრს, საკმაოდ ხელოვნური კომბინაციები მოგვივლინა. სასიამოვნო შესახედავი იყო განსაკუთრებით პირველი მოქმედება და უკანასკნელის პირველი მომენტი, სანამ უბადრუკ პროჟექტორს „აუშვებდენ".

მეორე მოქმედებისთვის მე მგონი იგივე განათება, რაც პირველში იყო მოწყენილობას ქმნიდა.

აქვე არ შემიძლია არ უსაყვედურო ქ. ჩხეიძეს ოთხივე მოქმედებაში ერთგვარად დავარცხნილი თმა. მეოთხე მოქმედების მარგარიტას ტანისამოსიც უვარგისია.

აკაკი ფაღავა.

ეპისკოპოსი იმერეთისა გიორგი.

(ნახეთ დღევანდელ დამატებაში მისი სურათი).

ეპისკოპოსი გიორგი, ერის კალოზაში ალადაშვილი დაიბადა 8 დეკ. 1848 წ. სოფ. არბოშიკში (ქიზიყში) მშობლები ამ ს იყვნენ: მამა გიორგი მღვდელი ადამ მღვდლისშვილი. დედა ელისაბედ გეგენა ბოსიტაშვილის ასული.

ათი წლის პატარა გიორგი, ერთმა ნათესავთაგანმა ქიზიყიდამ ქ. ნუხაში წაიყვანა, იქაურ სამოქალაქო სკოლაში მიაბარა მოწაფედ. აქ გიორგი დარჩა ერთ წელიწადს. მერე აქედამ გადმოიყვანეს თფილისის სასულიერო სასწავლებელში 1864 წ. აქ სწავლა დაამთავრა და 1869 წ. შევიდა თფილისის სასულიერო სემინარიაში.

სემინარიაში იგი პირველ მოწაფეთ ირიცხებოდა. აქ სწავლა დაამთავრა 1875 წ. ამავე წელს იგი დანიშნეს თფილისის სასულიერო სასწავლებელში მასწავლებლად, აქ გიორგიმ დაჰყო ოთხ წელიწადს, მის მერე 1871 წ. წავიდა რუსეთში და კიევის აკადემიაში შევიდა სტუდენტათ. აქ სწავლა დაამთავრა 1883 წ. და დაბრუნდა საქართველოში.

1884 წ. იგი დანიშნეს ქართული ენის მასწავლებლად ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. ერთი წლის შემდეგ აქედამ იგი გადაყვანილ იქმნა სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორად. ინსპექტორობიდამ მერე დანიშნული იქნა ამავ სასწავლებლის ზედამხედველად (სმატრიტელი) და ამ თანამდებობაში 18 წელიწადს დაჰყო.

ამ თანამდებობის დროს აღიკვეცა ბერად და ეწოდა გიორგი.

1899 წ. აკურთხეს არქიმანდრიტად.

1902 წ. აკურთხეს ეპისკოპოსად და დანიშნეს საქართველოს სასინოდო კანტორის წევრად და ნათლიმცემლის მონასტრის წინამძღვრად.

1905 წ. დანიშნულ იქმნა გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსად. აქედამ იგი გადაყვანილი იქმნა იმერეთის ეპისკოპოსის კათედრაზედ 1908 წ. დღემდე ყოვლად სამღვდელო გიორგი განაგებს იმერეთის საეპისკოპოსო კათედრას.

წელს უსრულდება მას 40 წელიწადი მას შემდეგ, რაც იგი სემინარიიდამ პირველად სწავლა დამთავრებული სამ ახურის ასპარეზზე გამოვიდა: ეს სურათი ეხლა არის გადაღებულ 40 წლის სამსახურის სახსოვრად. ყოვლად სამღვდელო გიორგის მოღვაწეობის შესახებ საპატიოანუხვის წერილი დაიბეჭდა 1913 წ. გაზეთ „ერი"-ს 44 №-ში.

ყოვლად სამღვდელო გიორგის მოქმედება და მართვა გამგეობა არის მშვიდი და წყნარი, საქმის ახმაურება, და აფორიაქება ამას არაფრად მიაჩნია, ამიტომაც ყოველთვის თავის სამწყსოში წყნარად და უჩინრად მოქმედებს და ყველას წინაშეც იმას სცდილობს და ემსახურება, რომ ყოველთვის მშვიდობით და სიყვარულით შესრულდეს.

ყოვლად სამღვდელო გიორგის ცხოვრების აღწერა მოთავსებულ არის „საქართველოს ექსარხოსის კრებულში" ამისივე სურათი და მოკლე აღწერა დაიბეჭდა 1914 წ. „ზაკავკასკაია რეჩის" ერთ ნომერში. ეხლა იმერეთში პირველად იბეჭდება ყოვლად სამღვდელო გიორგის სურათი და ეს მოკლე აღწერა. ზ.

დონ-დამიანე სააკაშვილი.

(იხილე დღევანდელი დამატება).

დონ-დამიანე სააკაშვილი დაიბადა 1865 წ. 19 ივნისს ქ. ქუთაისში. მამა მისი იაკობი, გორელი ქართველია კათოლიკე. 7 წლის ბავში მშობლებმა მიაბარეს ქუთაისის კათოლიკეთ ეკლესიის სამრევლო სკოლაში. ამ სკოლიდან დამიანე გადავიდა ქუთაისის გიმნაზიაში. გიმნაზიიდან დონ ივანე ანტონოვმა, მაშინდელ ქუთაისის ეკლესიის წინამძღვარმა, დამიანე სააკაშვილი თავის სურვილისამებრ გაგზავნა რომს, პაპი ურბონ მე VIII-ის მიერ დაარსებულ კოლეგიაში.

დამიანემ სწავლა დაამთავრა კოლეგიაში; აქ მან ისეთი ენერგია გამოიჩინა, რომ დამიანეს პროფესორად დანიშვნა ინურვა კოლეგიის გამგეობამ, მაგრამ დამიანემ განაცხადა: მე ხალხს მინდა ვემსახურო და მღვდლობა ისურვა 20 მარტს, 1892 წ. გაგზავნეს პერეკოპის სამრევლოში (ტავრიზ. გუბერნ.). პერეკოპი იმ დროს ძლიერ ღარიბი იყო. აქ ამის მეცადინეობით გაკეთდა ეკლესია და სასწავლებელი. თავისი კეთილ მოქმედობით მან ხალხს თავი შეაყვარა. აქ დარჩა ექვს წელიწადს.

1894 წ., იტალიელების თხოვნით, გადაყვანილ იქნა ბერდიანსკის (აზოვის ზღვა) სამრევლოს მართველად. დონ-დამიანემ შეაკეთა ადგილობრივი ეკლესია და სასწავლებელი. 1899 წ. გადაყვანილ იქნა ადესაში. 1902 წ. 13 ივლისს, გადაყვანილ იქნა ლუკონსკში (ეკატერინოსლავის გუბ.) აქაც დონ-დამიანემ გამოიჩინა ხალხისადმი დიდი სიყვარული და პატივისცემა. აქ მან მოიკრიბა დიდი ძალა და მრევლს დაუარსა საქველმოქმედო საზოგადოება სწავლა-განათლებისათვის, რომელი საზოგადოებაც თვალყურს ადევნებდა სასწავლებლის მართვა-გამგეობის საქმეებს.

16 აგვისტოს, 1905 წ. დანიშნულ იქნა ქუთაისის რომის კათოლიკეთ ეკლესიის მოძღვრად. დღესაც იგი განაგებს თავის ქარრვ. კათოლიკეთა მრევლს ქუთაისში.

თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი.

1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ.
2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ.
3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ.
4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ.
„იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ.
„იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ.
5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ.
6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ.
7) ს. გორგაძე საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ.
8 ალ. გარსევანიშვილის თხუზულება „Поэтъ Грузіи Акакіи" 10 კ.

აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა.

1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ
2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველ დაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ.
3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ.
4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სღვთო სჯულის სწავლებაზე . 30 კ.
5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ.
6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ.
7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ.
8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ.
9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ.
10) ა. ჰიჰინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ.
11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ.

რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

სავაჭრო სახლი სამანუფაქტურო და გალანტერეის საქონლის
ფ. დ. ერქომაიშვილი და ა-ბის
ომიანობის გამო ქალაქ სუხუმიდან გადმოვიდა **ქუთაისში**. სავაჭრო გაიხსნა თფილისის ქუჩა და საკათედრო მოედანის კუთხეში, რიჟინაშვილის ახალ შენობაში, ქალაქის აფთიაქის პირდაპირ.
გვაქვს მიღებული მრავალი ახალი მოდის სასეზონო საქონელი.
საქონელი იყიდება ხელმისაწდომ ფასებში.
პატივის ცემით: **ფ. ერქომაიშვილი და ა—ბა.** 12—4

ქუთაისში
ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი საბუღალ. კურსები
გ. გ. გიგინეიშვილისა.
1915 წლის იანვრიდან კურსებზე იხსნება მეორე—პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში. **კურსი ათთვიანია.**
სწავლის ფული ასი მან.
თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში (თფილისის ქუჩა).
კურსების გამგე **გ. გ. გიგინეიშვილი.** თ.

მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ
„თეატრი და ცხოვრება"-ზე.
ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართლისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით. **ფასი:** წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.
ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი"-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად"-ში, „ცოდნას" წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.
მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба" Іосифу Имедашвили
რედაქტორ-გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**

მატარებელთა მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია ქუთაისის საათით).

ქუთაისში მოდის:

თფილისიდან 5 ს. 50 წ. დილ.
11 ს. 30 წ. ღამ.
ბათომიდან 10 ს. 5 წ. დილ.
2 ს. 23 წ. ღამ.
ფოთიდან 10 ს. 30 წ. დილ.

ქუთაისიდან გადის:

თფილისში 7 ს. 55 წ. დილ.
1 ს. 7 წ. ღამ.
ბათომში 10 ს. 7 წ. საღამ.
4 ს. 27 წ. დილ.
ფოთში 4 ს. 14 წ. დღ.